პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 221 (4215)

1970 წ. 11 ნოემბერი, ოთხშაბათი. ფასი 4 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს“ პრიზის XIV გათამაშება

ვულოცავთ საუკეთესო ბომბარდირის სახელს!

ყოველ საკავშირო ჩემპიონატს ჰყავს ყველაზე შედეგიანი ფეხბურთელი, საუკეთესო სნაიპერი. უწინ ეს შედეგი ოფიციალურად არ აღინიშნებოდა, მაგრამ, მას შემდეგ, რაც გაზეთ „ტრუდის“ რედაქციამ დააწესა სპეციალური პრიზი საუკეთესო ბომბარდირისთვის, ბრძოლას ყველაზე შედეგიანი ფორვარდის სახელისთვის განსაკუთრებული ინტერესი მიეცა.

ქართველი ფეხბურთელები არაერთხელ ყოფილან მათს რიცხვში, ვინც ყველაზე უფრო გამოიჩინა თავი მეტოქეთა კარის აღებაში. წარსულ წლებში ესენი იყვნენ გამოჩენილი ფეხბურთელები ბ. პაიჭაძე, გ. ჯეჯელავა, ა. ლოდობერიძე, ა. ზაზროევი. 1958 წლიდან საუკეთესო სნაიპერები ჯილდოვდებიან „ტრუდის“ პრიზით. მისი მფლობელი ორჯერ იყო თბილისის „დინამოს“ ცენტრალური თავდამსხმელი ზ. კალოევი, აგრეთვე, ი. დათუნაშვილი, გ. გავაშელი. კარგი მაჩვენებელი ჰქონდა შარშან ქუთაისის „ტორპედოს“ თავდამსხმელს ჯ. ხერხაძეს.

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში მაღალი შედეგიანობით გამოიჩინა თავი თბილისის „დინამოსა“ და სსრ კავშირის ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა გ. ნოდიამ. მიუხედავად იმისა, რომ მექსიკაში საბჭოთა ნაკრების ყოფნისას მას არ მიუღია მონაწილეობა საკავშირო პირველობის მატჩებში, გ. ნოდია მაინც ყველაზე ზუსტი თავდამსხმელი აღმოჩნდა. მის ანგარიშზეა 17 ბურთი. ვულოცავთ მას ამ დიდ წარმატებას და „ტრუდის“ სპეციალურ ჯილდოს.

სნაიპერთა ბრძოლაში მომდევნო ადგილები დაიკავეს მოსკოვის არმიელმა ბ. კოპეიკინმა და მოსკოვის დინამოელმა ვ. კოზლოვმა, რომლებმაც თავიანთ აქტივში 15-15 ბურთი ჩაიწერეს.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის 1970 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გ. ნოდია.

ბ. იაკოვლევის ფოტო (საკადესი).

საქართველოს სათხილამურო სპორტის ფედერაციამ შეიმუშავა და ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიამ დაამტკიცა საქართველოში სათხილამურო სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების — „ლელოს“ პრიზის XIV გათამაშების დებულება.

ამ ტურნირის მონაწილე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები 26-29 დეკემბერს იასპარეზებენ ბაკურიანში. ყოველი გუნდი 25 სპორტსმენით უნდა დაკომპლექტდეს (შარშან თითოეულ კოლექტივში 28 სპორტსმენი შედიოდა), რომელთა შორის არის 15 ვაჟი და 6 ქალი, ამას გარდა, 3 მწვრთნელი და 1 წარმომადგენელი.

სარბიელზე დაიშვებიან პრიზის შარშანდელი გათამაშების პრიზიორების — „კოლმეურნის“, „დინამოს“, „განთიადის“, აგრეთვე, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტკლუბის, განათლების სამინისტროს კოლექტივები, სხვა რესპუბლიკებიდან მოწვეული გუნდები და სპორტსმენები. შესაბამისი უწყების ან სპორტსაზოგადოების წარდგენით პირად ტურნირში მონაწილეობა შეუძლიათ იმ სპორტის ოსტატებს (სამთო სახეობებში) და პირველთანრიგოსნებს (ხტომასა და რბენაში), რომლებიც ნაკრებ გუნდებში ვერ მოხვდნენ.

ყოველ კოლექტივს ვაჟთა სპეციალურ სლალომსა და გიგანტურ სლალომში 5-5 წევრის გამოყვანა შეუძლია, ჩათვლას კი გუნდებს ის სპორტსმენები მისცემენ, რომლებიც 15 საუკეთესოს შორის დაიკავებენ ადგილებს. პრიზისთვის მოსასპარეზე კოლექტივებს 15 კილომეტრზე რბენაში 4-4, ხოლო 20 კილომეტრზე 3-3 სპორტსმენი გამოყავთ, ჩათვლას კი შესაბამისად 3 და 2 საუკეთესოს შედეგებით მიიღებენ. რაც შეეხება ხტომასა და ორჭიდს, 3-3 სპორტსმენის შედეგებიდან ჩათვლაში ყველა მაჩვენებელი შევა.

სამთოსამოთხილამურე ქალთა შეჯიბრებაში სხვაგვარი ჩათვლაა, როგორც გიგანტურ, ისე სპეციალურ სლალომში თითოეული გუნდიდან 3-3 სპორტსმენი გამოვა, ჩათვლას კი მხოლოდ საუკეთესოთა ათეულში შესულნი მიიღებენ. 5 და 8 კილომეტრზე რბენაში თითოეული კოლექტივის 3-3 სპორტსმენიდან ჩათვლას 2-2 მიიღებს.

სამთოსათხილამურო სახეობებში შეჯიბრების მონაწილენი სასტარტო კენჭისყრისთვის ჯგუფებად დაიყოფიან. ვაჟები სამ ჯგუფს შექმნიან. პირველ ჯგუფში შევლენ ის სპორტსმენები, რომლებმაც სსრ კავშირის შარშანდელ ჩემპიონატში I-VI და საქართველოს სსრ ზამთრის III სპარტაკიადაში I-III ადგილები დაიკავეს, აგრეთვე, ყველა გუნდის თითო სპორტსმენი, მეორე ჯგუფში — მონაწილე გუნდების 2-2 სპორტსმენი, მესამე ჯგუფში— ყველა დანარჩენი.

ქალებისთვის ორი ჯგუფი შეიქმნება. პირველ ჯგუფში გამოვლენ სსრ კავშირის 1970 წლის ჩემპიონატის პირველი-მეექვსე პრიზიორები, საქართველოს სსრ ზამთრის III სპარტაკიადის პირველი-მესამე პრიზიორები და მონაწილე კოლექტივების თითო მოთხილამურე. მეორე ჯგუფში შევა ყველა დანარჩენი სპორტსმენი.

სამთო სახეობებში გუნდური შედეგები განისაზღვრება იმ ქულათა მაქსიმალური ჯამით, რასაც 15 (ვაჟები) და 10 (ქალები) საუკეთესოს რიცხვში შესული სპორტსმენები მოაგროვებენ (I ადგილებზე გასული სპორტსმენი ვაჟები მიიღებენ 15 და დამატებით 8 წამახალისებელ ქულას, ქალები 10+3 ქულას, მომდევნო ადგილებზე გასული ვაჟები — 14, 13, 12 ... ქულას, ქალები — 9, 8, 7 ... ქულას).

ცალკეულ სახეობებში გამარჯვებულ გუნდებს დაეწერებათ თითო საჯარიმო ქულა, II ადგილებზე გასულებს — 2-2, III პრიზიორებს— 3-3 ... სახეობის საერთო გუნდურ ჩათვლაში რამდენიმე გუნდის საჯარიმო ქულების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევა იმ კოლექტივს, რომელსაც მეტი I, II, III და სხვა საპრიზო ადგილები ექნება.

ყველა სახეობაში გუნდური შედეგების შეჯამებისას პირად პირველობაში მოსასპარეზეთა შედეგები მხედველობაში არ მიიღება.

ტრამპლინიდან ხტომასა (90-მეტრიანი ტრამპლინი) და ორჭიდში (15 კმ-ზე რბენა და 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა) საერთო გუნდური ადგილები განისაზღვრება იმ მონაწილეთა მიერ მოგროვილი ქულების ჯამით, რომლებიც გუნდს ჩათვლას აძლევენ. გუნდს, რომელიც ვერც ერთ მონაწილეს ვერ გამოიყვანს, მიეკუთვნება ბოლო ადგილი და დაჯარიმდება 1 ქულით.

რბოლებში გუნდური შედეგები ვაჟებისა და ქალებისთვის ცალკე განისაზღვრება ტრასაზე დახარჯული დროის უმცირესი ჯამის მიხედვით. გუნდს, რომელსაც ჩამოთვლილ მონაწილეთა დადგენილი რაოდენობა არ ეყოლება, ყოველი გამოუყვანელი სპორტსმენისთვის დაეწერება ტურნირის ბოლო მონაწილის შედეგი, პლუს 3 საჯარიმო წუთი.

ყველა სახეობის საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული კოლექტივი გამოვლინდება საჯარიმო ქულების უმცირესი ჯამით. I ადგილზე გასულ ნაკრებს გადაეცემა „ლელოს“ პრიზი და ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი, II და III ადგილებზე გასულ კოლექტივებს — ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

ცალკეულ სახეობებში გამარჯვებული ქალთა და ვაჟთა გუნდები დაჯილდოვდებიან ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომებით.

პირად ტურნირებში გამარჯვებულ სპორტსმენებს გადაეცემათ ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, მეორე და მესამე პრიზიორებს — ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის შესაბამისი ხარისხის დიპლომები.

ტურნირში მონაწილეობის მსურველებმა წინასწარი განაცხადები საქართველოს სათხილამურო ფედერაციას (თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 4) უნდა წარუდგინონ 30 ნოემბრამდე, სახელობითი განაცხადები კი მსაჯთა კოლეგიას — ადგილზე, შეჯიბრების დაწყებამდე ერთი დღით ადრე.

შეჯიბრების კალენდარი ასეთია:

26 დეკემბერი. მონაწილეთა ჩასვლა. შეჯიბრების საზეიმო გახსნა.

27 დეკემბერი. გიგანტური სლალომი (ქალები, ვაჟები); 90 და 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა; 5 (ქალები) და 15 (ვაჟები) კილომეტრზე რბენა.

28 დეკემბერი. გიგანტური სლალომი II (ვაჟები); ორჭიდელთა რბენა 15 კმ-ზე; ქალთა სპეციალური სლალომი.

29 დეკემბერი. ვაჟთა სპეციალური სლალომი; 20 კმ-ზე რბენა (ვაჟები); 8 კმ-ზე რბენა (ქალები); შეჯიბრების საზეიმო დახურვა.

ორ-ორი შემადგენლოგით

როგორც ვიუწყებოდით, კაუნასში ჩატარდა კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი, რომელშიც ასპარეზობდნენ საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე კოლექტივები და მათი დუბლშემადგენლობანი (დუბლიორები არ ჰყავდა მხოლოდ კიევის „სტროიტელს“).

„ლელოს“ მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ცალკეულ შეხვედრათა შედეგებისა (ძირითად შემადგენლობათა ტურნირის პირველი კალენდარული დღის შედეგები უკვე გამოვაქვეყნეთ) და გათამაშების საბოლოო ცხრილების გაცნობა.

ძირითადი შემადგენლობანი. მეორე დღე. „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „კალევი“ (ტარტუ) 79:73, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სტროიტელი“ (კიევი) 59:47, რტი (მინსკი) — „ყალგირისი“ (კაუნასი) 73:69, **მესამე დღე.** „სტროიტელი“ — „სტატიბა“ 62:58, „ყალგირისი“ — „სპარტაკი“ 82:65, რტი — „კალევი“ 69:65; **მეოთხე დღე.** რტი— „სტატიბა“ 72:62, „კალევი“ — „სპარტაკი“ 82:81, „სტროიტელი“ — „ყალგირისი“ 61:59; **მეხუთე დღე.** „სტროიტელი“—რტი 73:64, „ყალგირისი“ — „კალევი“ 82:78, „სტატიბა“ — „სპარტაკი“ 88:77.

გათამაშების ცხრილი

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სტროიტელი“	4	1	296—292	4
რტი	3	2	347—352	3
„ყალგირისი“	3	2	358—335	3
„სტატიბა“	2	3	345—350	2
„სპარტაკი“	2	3	365—368	2
„კალევი“	1	4	350—364	1

დუბლშემადგენლობანი. პირველი დღე. „სტატიბა“ — „ყალგირისი“ 95:78; **მეორე დღე.** „სტატიბა“ — „კალევი“ 73:75, „ყალგირისი“—რტი 75:64; **მესამე დღე.** „სპარტაკი“—„ყალგირისი“ 75:84, რტი — „კალევი“ 59:44; **მეოთხე დღე.** რტი — „სპარტაკი“ 68:85, „სტატიბა“ — რტი 68:64, „კალევი“ — „სპარტაკი“ 56:67; **მეხუთე დღე.** „სპარტაკი“ — „სტატიბა“ 74:73, „კალევი“ — „ყალგირისი“ 80:69.

გათამაშების ცხრილი

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	3	1	301—281	3
რტი	2	2	255—272	2
„სტატიბა“	2	2	309—291	2
„კალევი“	2	2	255—268	2
„ყალგირისი“	1	3	306—314	1



◆ **პალმა დე მალიორკა** (ესპანეთი), 10 ნოემბერი. აქ დაიწყო VIII საზონათშორისო ტურნირი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში. I ტურში თავი ისახელა მონღოლმა ოსტატმა უიტუმენმა — 43-ე სვლაზე მან მოუგო ამერიკელ დიდოსტატ რეშევსკის. მინიჩმა (იუგოსლავია) დაამარცხა ნარანია (ფილიპინები). ყაიმით დაამთავრეს პარტიები: გელერმა — ჰორტიშთან (უნგრეთი), სმისლოვმა — სათლუთან (კანადა), ტამანოვმა — ადისონთან (აშშ), ფიშერმა (აშშ) — ჰიუბნერთან (გფრ), ლარსენმა (დანია) — ივკოვთან (იუგოსლავია). გადაიდო პარტიები: პოლუგაევსკი — მეკინგი (ბრაზილია), ფილიპი — ჰორტი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ხიმენესი (კუბა) — მატულოვიჩი (იუგოსლავია), ულმანი (გდრ) — გლიგორიჩი (იუგოსლავია), რუბინეტი (მან ნაიდორფი შეცვალა) — პანო (ორივე — არგენტინა).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

სპარტაკიადებისთვის მზადება

ოთხი გუნდი ცოტაა!

ახლა, როცა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ფინალურ ნაწილს რამდენიმე თვე გვაშორებს, ნებისმიერ ასპარეზობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სპორტსმენები და სპეციალისტები საბოლოოდ ამოწმებენ თავიანთ შესაძლებლობებს, ხვეწენ ოსტატობას, ზრუნავენ შენიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისთვის.

სწორედ სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო საქართველოს წყალში მხტომელთა პირად-გუნდური პირველობა ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის პრიზზე. ასპარეზობა თბილისის ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში ჩატარდა.

წლეულს ჩვენი სპორტსმენები დამაკმაყოფილებლად გამოდიოდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. რამდენიმე მათგანი თავისუფლად ასრულებდა სპორტის ოსტატის ნორმატივს (რის შესრულებაც აუცილებელია თუნდაც ერთსელ 1970-1971 წლებში, რათა სპორტსმენმა სპარტაკიადის საგზური მოიპოვოს). შემოსსენებულ რესპუბლიკურ პირველობაში კი სურათი შეიცვალა. თვით ფავორიტებიც კი რაღაც მოუნდომებლად, თითქოს ძალდატანებით ასპარეზობდნენ.

— როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ყველა აუზში თვეზე მეტ ხანს წვრთნა შეწყვეტილი იყო. ვარჯიში ამ შეჯიბრებამდე რამდენიმე დღით ადრე განგაახლეთ. სწორედ ეს არის დაბალი შედეგების მიზეზი, — გვითხრა რესპუბლიკის მრავალგზის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა ა. კალიაგინამ.

ასპარეზობის ორგანიზატორებმა სწორედ ამ მიზეზის გამო პროგრამა გააიოლეს. მონაწილენი მხოლოდ ხუთ-ხუთ ნახტომს ასრულებდნენ. ცხადია, ამ შეჯიბრებით ძნელია განისაზღვროს ჩვენი წყალში მხტომელების შესაძლებლობები.

ასეთ ასპარეზობაში პირველად გაიმარჯვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ვ. იადრიშნიკოვმა. მან დამაჯერებლად მოიგო 1 და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა.

სიურპრიზით დამთავრდა ქალთა შეჯიბრება კოშკიდან ხტომაში. სოხუმის მე-20 საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა ე. ბოიარკინამ მწვავე ბრძოლაში აჯობა მასზე ძლიერ, გამოცდილ კოლეგებს ა. კალიაგინას, ლ. კაზანცევას, ნ. ცოცხალაშვილს და I ადგილი დაისაკუთრა.

სხვათა შორის, ბოიარკინა ერთადერთი დინამოელია, რომელმაც წარმატებას მიაღწია. ეს მაშინ, როცა ყველაზე მეტი (8) სპორტსმენი სწორედ „დინამომ“ გამოიყვანა. ეს სპორტსმენები გუნდურ ჩათვლაში III ადგილს (38 ქულა) დასჯერდნენ. მონაწილეთა რაოდენობის მხრივ II ადგილზე იყო „განთიადი“ (7 სპორტსმენი). ასპარეზობაც სწორედ განთიადელთა გამარჯვებით დამთავრდა (119 ქულა). II ადგილზე გავიდა ასკ-ს გუნდი (72 ქულა), რომლის შემადგენლობაშიც ექვსის ნაცვლად ოთხი (!) სპორტსმენი იყო. IV ადგილი ხვდა „ბურევესტნიკს“ (24 ქულა). დანარჩენი გუნდები არ ჩანდნენ.

რამდენიმე სიტყვა მსაჯებზე. მათი შეფასებები ხშირად ძალიან განსხვავებული იყო, რის გამოც კამათი დიდსანს გრძელდებოდა. ამას გარდა, მსაჯები არ ჰყოფნიდათ და მათ შეჯიბრების დაწყების წინ ეძებდნენ.

ა. გურასაშვილი.

ტექნიკური შედეგები

ქალები. ერთმეტრიანი ტრამპლინი. ა. კალიაგინა — 64,76 ქულა, ნ. კუპრიანოვა (ორივე — „განთიადი“) — 52,54, ნ. ცოცხალაშვილი (ასკ) — 51,81. **3-მეტრიანი ტრამპლინი.** კალიაგინა — 68,65, ცოცხალაშვილი — 62,06, კუპრიანოვა — 61,00. **კოშკი.** ე. ბოიარკინა („დინამო“) — 55,83, კალიაგინა — 55,38, ლ. კაზანცევა („ბურევესტნიკი“)— 54,79.

ვაჟები. ერთმეტრიანი ტრამპლინი. ვ. იადრიშნიკოვი („განთიადი“) —65,37 ქულა, რ. არუთინოვი (ასკ) — 62,14, ვ. კუპრიანოვი („განთიადი“)—54,61. **სამმეტრიანი ტრამპლინი.** იადრიშნიკოვი — 62,94, ს. ვართანოვი — 59,83, კუპრიანოვი — 57,45. **კოშკი.** რ. არუთინოვი — 66,80, ვართანოვი („განთიადი“) — 54,35, ნ. პოგონინი (ასკ) — 50,68.

* * *

სურათზე: სამმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში საუკეთესონი (მარცხნიდან) — ნ. ცოცხალაშვილი, ა. კალიაგინა და ნ. კუპრიანოვა.

ავტორის ფოტო.



საღ იყენენ აღგილობრივი მძლეოსნები?

გურჯაანის სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს ზონალური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. ტურნირში აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონის სპორტსმენებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ სარბიელზე მხოლოდ ახალციხის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, თელავის, კასპის, ლაგოდეხის, მცხეთის, ხაშურის, წალკისა და წითელ წყაროს მძლეოსნები გამოვიდნენ.

შეჯიბრების მიზანი იყო რაიონებში „სპორტის დედოფლის“ განვითარებისთვის ზრუნვის შემოწმება, ნიჭიერი სპორტსმენების გამოვლენა. ტურნირმა სანუგეშო სურათი ვერ გვიჩვენა. 200-მდე მონაწილიდან ერთმა I, ოცმა კი II თანრიგის შედეგი მოიპოვა. ისინიც უმეტესად უკვე ცნობილი სპორტსმენები კრიან. აშკარაა, რომ რაიონებში მძლეოსნობის განვითარებისთვის ნიჭიერი სპორტსმენების მოძებნისა და აღზრდისთვის კვლავ არაფერი კეთდება.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება თელავის ნაკრებმა დაიჭაკუთრა, მაგრამ გუნდის ინტერესებს იცავდნენ უმეტესად რესპუბლიკის სხვა რაიონებში გამოვლენილი და თბილისში დაოსტატებული სპორტსმენები, რომლებსაც თელავის რაიონთან მხოლოდ სამსახური აკავშირებთ. რასაკვირველია, მათ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ, მაგრამ სად იყვნენ ადგილობრივი მძლეოსნები?

საასპარეზოდ ადგილობრივი სპორტსმენები ჩამოიყვანეს მეორე და მესამე პრიზიორების — ხაშურისა და დუშეთის რაიონების მძლეოსანთა გუნდების ხელმძღვანელებმა.

გურჯაანელებმა სანაქებო მასპინძლობა გასწიეს. დასანანი მხოლოდ ისაა, რომ მძლეოსნობის კარგი ბაზა სათანადო ინვენტარით არ არის აღჭურვილი. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ა. ჭუჭულაშვილი) ტურნირის ორგანიზებულად გამართვისთვის თავი არ დაზოგა, ადგილობრივი არბიტრები მსაჯთა კოლეგიას კარგად ეხმარებოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია გურჯაანის სკოლა-ინტერნატის მერვეკლასელის ი. ტეტებაშვილის მონდომებული, დაუზარელი მსაჯობა.

შეჯიბრების შემდეგ სპორტსმენებმა ყვავილებით შეამკეს შინმოუსვლელთა ძეგლი.

დ. გელაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გურჯაანი.



დინამოელმა ანატოლი მოშიაშვილმა, როგორც ნიჭიერმა თარჯმორბენალმა, მძლეოსნობის მოყვარულებს თავი სამიოდე წლის წინათ გააცნო. მოშიაშვილი ნატკენი ფეხის გამო შარშან ვერ ასპარეზობდა, წლეულს კი რამდენიმე გამარჯვება იზეიმა — 110 მეტრზე თარჯრბენში ჯერ იუნიორთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, მერე საკავშირო ტურნირებში იმარჯვა, ამას წინათ კი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართულ შეჯიბრებაში საქართველოს ჩემპიონიც გახდა.

მოშიაშვილი ენერგიულად ემზადება სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის.

სურათზე: ა. მოშიაშვილი (წინა პლანზე) შეჯიბრების დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

რამდენიმე სტრიქონი

თბილისი

განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ სახლში გაიმართა მასწავლებელთა საქალაქო შეჯიბრება ჭადრაკში. ბრძოლაში ჩაებნენ ლენინის, კალინინის, 26 კომისრის, პირველი მაისისა და ორჯონიკიძის რაიონების გუნდები (თითოეულ გუნდში 2 ვაჟი და 1 ქალი გამოდიოდა). I-III ადგილები გაიყვეს ლენინის (ტ. კილასონია, ჰ. ვარძუაშვილი, გ. გორგელოვა), კალინინის (გ. გრიგორიადისი, გ. მურადოვი, ლ. გუკასოვა) და 26 კომისრის (ფ. გოლუბი, ვ. მენდელიანი, ნ. ზოლოტუხინა) რაიონების გუნდებმა. დამატებით შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ლენინის რაიონის წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა კალინინის რაიონის გუნდი.

ი. თოდრია.

„ლენინური ყაზახეთი“

„უილგლო მემკვიდრე“

ჩვენი გაზეთის 11 აგვისტოს ნომერში ამ სათაურით დაბეჭდილ წერილში მხილებული იყო „კოლმეურნის“ გუდაუთის რაიხბჭოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

როგორც საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიკომის მდივანი ვ. აიბა გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. 14 აგვისტოს რაიკომის ბიუროს სხდომამ განიხილა ფიზიკური კულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის მუშაობის მდგომარეობისა და გაუმჯობესების საკითხი. ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობას დაევალა სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიოს რაიონის ძირეულ კოლექტივებს ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობაში.

თავმჯდომარე გვატყობინებს

„ლენინის“ 15 აგვისტოს ნომერში რუბრიკით „SOS“ დაიბეჭდა წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ვარძიის საკოლმეურნეო ფიზკულტურულ კოლექტივში ფეხბურთის მინდორი გადახნეს.

ორჯონიკიძის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. მაკავარიანი გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. ფიზკულტურის კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. სოფელ ვარძიის კოლმეურნეობის გამგეობამ გამოყო მიწის ნაკვეთი, სადაც ფეხბურთის მინდორი მოეწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1970

ფეხბურთი

ჯერ ჯგუფი, ბოლო ჯერ ჯერ ოთხჯერ

სსრ კავშირის წლეულანდელი ჩემპიონატი დამთავრდა. უფროსებზე ბოლოს შედგა მატჩი მოსკოვში ცსკა-სა და „ნევთჩის“ შორის, რომელსაც უნდა დაედგინა: გახდებოდა თუ არა მოსკოვის „დინამო“ ჩემპიონი, თუ ამ წოდების მოსაპოვებლად მას დამატებითი შეხვედრის ჩატარება მოუხდებოდა ცსკა-სთან. უკვე დამთავრებული იყო თამაში თბილისში, ხოლო მოსკოვის „დინამოს“ სტადიონის დათოვლილ მინდორზე ჯერ კიდევ იბრძოდნენ არმიელი და ბაქოელი ფეხბურთელები. ცსკა-მ შეძლო ამ ძნელი მატჩის მოგება — 2:0 (ორივე ბურთი გაიტანა კოპეიკინმა). აღსანიშნავია, რომ არბიტრი კ. ურუშაძილი იძულებული იყო უდისციპლინობისთვის მინდვრიდან გაეძევებინა ბაქოელი უულიევი და არშიელთა ამ 2 გოლის ავტორი.

ჩემპიონატი დამთავრდა, ჩემპიონი კი არ არის. ოქროს მედლების მფლობელთა გამოსარკვევად შედგება დამატებითი მატჩი ცსკა-სა და მოსკოვის „დინამოს“ შორის. ვინაიდან „დინამო“ ამყვანად ტურნეს ატარებს უცხოეთის ქვეყნებში, ბოლო ცსკა-ს მოთამაშეები დაკავებული არიან სსრ კავშირის ნაკრებში, რომელსაც 16 ნოემბერს ევროპის პირველობის შესარჩევი მატჩი აქვს კვიპროსში, ეს დამატებითი შეხვედრა გაიმართება მოგვიანებით. მისი ჩატარება ნავარაუდევია დეკემბრის დამდეგს ჩვენი ქვეყნის ერთერთ სამხრეთ ქალაქში.

ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იციან, რომ გაიხად „ა“ კლასის უმაღლეს ჯგუფში ითამაშებენ I ჯგუფში გამარჯვებულნი — ლვოვის „კარპატი“ და ალმა-ათის „აირათი“. მათს ადგილს I ჯგუფში დაიკავებენ „ა“ კლასის II ჯგუფის ზონებში გამარჯვებულნი — ზაპოროჟიეს „მეტალურგი“, კემეროვოს „კუზბასი“ და იაროსლავლის „შინიკი“.

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ჩემპიონატი

..ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 9 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი)—„არარატი“ (ერევანი) 2:1 (1:1).

„დინამო“: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ბურცილავა, მაჩაიძე (ილიადი), პეტრიაშვილი, მჭედლიშვილი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„არარატი“: დემირჩიანი, ავანესოვი, არუთინოვი, კოვალენკო, მესროპიანი, შელქონიანი (გევორქიანი), ბონდარენკო, პეტროსიანი, იშტოიანი, ზანაზანიანი, კაზარიანი.

მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები — 5:1 „დინამოს“ სასარგებლოდ.

რა მნიშვნელობა ჰქონდა ყათამაშების ამ ბოლო მატჩს თბილისელთათვის? პრაქტიკულად — არავითარი. IV ადგილი ჩემპიონატში მათ უკვე 5 ნოემბრის ტურის შემდეგ ჰქონდათ განაღდებული, საპრიზო სამეულში კი ყველა ადგილი ადრევე დაჯავშნეს მოსკოვის გუნდებმა. ამდენად, განვლილ შეხვედრაში ბრძოლის სტიმული „არარატს“ შეტი უნდა ჰქონოდა, ვინაიდან მოგების შემთხვევაში იგი რამდენიმე საფეხურით მაღლა ინაცვლებდა ყათამაშების ცხრილში.

მაგრამ ესაა წმინდა სატურნირო ამბები, გადაანგარიშებანი ქულებზე და ისინი ხშირად მეორე პლანზე ინაცვლებენ, როცა საქმე პრინციპული ხასიათის შეხვედრებზე მიდგება ხოლმე. აი, ასეთი პრინციპული ხასიათისაა მატჩები თბილისის „დინამოსა“ და „არარატს“ შორის. რა თქმა უნდა, ერკვნელთა საერთო კლასი და მიღწევები გაცილებით ჩამორჩება დინამოელებისას, - საკავშირო ჩემპიონატებში შეხვედრათა ბალანსიც ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ „არარატი“ მუდამ საგანგებოდ ცდილობს კარგად ეთამაშოს თბილისის „დინამოს“ და არ ჩამორჩეს თავის სახელგანთქმულ მეზობელს. ამიტომაა ასეთი კონტრასტული ანგარიშები მათს შეხვედრებში — 5:1 და 4:7, 3:0 და 0:5... საკმარისია გავიხსენოთ პირველი წრის მატჩი ერევანში, როცა მასპინძლებმა არნახული მობილიზებით ითამაშეს, სტუმრებმა კი ვერ გამოიჩინეს სათანადო საბრძოლო ოვისებები. ფეხბურთში ხშირად ვხვდებით ასეთ „პრინციპულ“ წყვილებს...

მატჩის დასაწყისმა საიმედო არაფერი დაუტოვა ერევნელებს. ბურთის პირველივე გათამაშების შემდეგ ასათიანის ძნელი ბურთის მოგერიება მოუხდა დემირჩიანს, მე-6 წუთზე კი მჭედლიშვილმა საკმაოდ შორიდან დაარტყა მარჯვენა დაბალ კუთხეში და მეკარემ განძრევაც ვერ მოასწრო — 1:0.

თამაში მერეც „არარატის“ კართან მიმდინარეობდა, გ. ნოდიას, მეტრეველის, ასათიანის დარტყმები სულ მცირე მანძილით სცდებოდა მიზანს, დემირჩიანმა ძლივს მიუსწრო მაჩაიძის მიერ ოცოდე მეტრის მანძილიდან საუცხოოდ დარტყმულ ბურთს, იერიშებში სისტემატურად მონაწილეობდნენ ძოძუაშვილი, ხურცილავა...

თბილისელთა შტურმს და საგოლე მომენტებს ერევნელთა კართან ბოლო არ უჩანდა, წუთი-წუთზე უნდა გაბრდილიყო ანგარიში და სრულიად მოულოდნელად პირიქით მოხდა: 34-ე წუთზე მარცხენა ფრთაზე გავიდა კაზარიანი, მიაწოდა ცენტრში, იქ ადგილზე არ აღმოჩნდნენ ჩვენი გუნდის ბეკები, ურუშაძე უდროოდ გამოვიდა წინ და ზანაზანიანმა თავით გაგზავნა ბურთი ცარიელ კარში — 1:1.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი კაზუსი საკმაოდ ხშირად ხდება თბილისის „დინამოს“ გამოსვლებში. თამაშს იგი წარმართავს აშკარა, თითქმის სრული უპირატესობით, მეტოქეთა კართან ქმნის უამრავ სახიფათო მომენტს და მათგან კი მხოლოდ მინიმალურ სარგებლობას იღებს. მაგრამ საკმარისია მეტოქის რამდენიმე საპასუხო კონტრშეტევა და ყველაფერი წყალში იყრება. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა არარატელებს იმდენი საგოლე მომენტი რომ ჰქონოდათ, რამდენიც დინამოელებს ჰქონდათ...

კიდევ უფრო დიდი უპირატესობით თამაშობდნენ თბილისელები მეორე ტაიმში, ვინ მოთვლის, რამდენი სახიფათო მომენტი შეიქმნა „არარატის“ კართან, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. დინამოელები, როგორც წესი, ინდივიდუალური გარღვევებით მოქმედებდნენ, ერთი-ერთზე ცდილობდნენ მიზნის მიღწევას, ეს კი ძნელი იყო ერევნელთა მასირებული დაცვის პირობებში.

ბოლოს, როგორც იქნა, გუნდს მიეცა დაფინაურების საშუალება. 67-ე წუთზე „არარატის“ საჯარიმო მოედანზე უხეშად მოცელეს გარღვევაზე გასული ძოძუაშვილი და სტრელეცკის პენალტი დანიშნა. 11-მეტრიანი ზუსტად დაარტყა ილიადიმ.

რევანში შედგა, მაგრამ არასრული. როცა ასეთი უპირატესობა გაქვს, ვალდებული ხარ უფრო დამაჯერებლად, უფრო დამაჯერებელი ანგარიშით გაიმარჯვო.

რ. ძოროძე.



ᲣᲛᲐᲦᲚᲝᲡᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

ცსკა
„დინამო“ (მოსკოვი)
„სპარტაკი“ (მოსკოვი)
„დინამო“ (თბილისი)
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი)
„ტორპედო“ (მოსკოვი)
„დინამო“ (კიევი)
ასკ (დონის როსტოვი)
„დინამო“ (მინსკი)
„შახტიორი“ (დონეცკი)
„ნივთჩი“ (ბაქო)
„არარატი“ (ერევანი)
„შახთაკორი“ (ტაშკენტი)
„ზენიტი“ (ლენინგრადი)
„ჩერნომორეცი“ (ოდესა)
„ტორპედო“ (ქუთაისი)
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	სავოლოო				მგოგოსარეობა	
თ.	მ.	ფ.	წ.	მ.	ქ.	
32	20	5	7	46—17	45	
32	19	7	6	50—22	45	
32	12	14	6	43—25	38	
32	14	8	10	43—30	36	
32	10	14	8	27—25	34	
32	12	10	10	36—38	34	
32	14	5	13	36—32	33	
32	9	15	8	28—29	33	
32	11	10	11	33—29	32	
32	11	8	13	35—50	30	
32	9	11	12	27—28	29	
32	10	9	13	31—34	29	
32	8	12	12	28—46	28	
32	10	7	15	30—40	27	
32	8	10	14	25—38	26	
32	6	11	15	24—42	23	
32	7	8	17	31—48	22	

ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝ�პᲝᲚᲘ, 9 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). მოზარდ ფეხბურთელთა „იმედის თასის“ საკავშირო გათამაშებაში განვლილი ტურის შემდეგ ლიდერი შეიცვალა. საქართველოს გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო ბელორუსიის ნაკრებთან (0:2), ხოლო უკრაინის ფეხბურთელებმა ამავე ანგარიშით დაამარცხეს რსფსრ-ს კოლექტივი.

3 ტურის შემდეგ უკრაინის ნაკრებს 5 ქულა აქვს, საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს კი 4-4.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ოთხწლიანი შესვენების შემდეგ ხალხმხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყალოსნო სპორტკლუბის გუნდმა კვლავ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი.

სურათზე: სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყალოსნო სპორტკლუბის გუნდი. სხედან (მარცხნიდან) — ა. შიდლოვსკი, ა. შუბერტი, ვ. უმუდსკი, ბ. ფეოდოროვი, ან. აკიმოვი; დგანან — ალ. აკიმოვი, ე. ტროიცკი, ბ. სემიონოვი, მწვრთნელი ბ. გოიხმანი, ვ. გულიაევი, ვ. აკიმოვი, ა. დოლგუშინი.

ა. იაკოვლევის ფოტო (საკადესი).

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲓ

საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ქვეყნის მოწინავე გუნდები ტრადიციისამებრ უცხოეთის ქვეყნებში ითამაშებენ. სსრ კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „დინამო“ 9 ნოემბერს საფრანგეთში გაფრინდა. იგი დღეს ბორდოში შეხვდება ადგილობრივ „უირონდას“. მერე მოსკოველები შვეიცარიაში ჩავლენ და იქ 14 ნოემბერს „ციურიხთან“ ითამაშებენ. 18 ნოემბერს დინამოელები გლაზგოში შეხვდებიან „გლაზგო რეინჯერსს“. ამ გრძელი ტურნეს მეოთხე, დასკვნითი მატჩი 20 ნოემბერს გაიმართება დასავლეთ ბერლინში, სადაც ისინი „ჰერტის“ წინააღმდეგ გამოვლენ.

„ა“ კლასის პირველი ჯგუფის უძლიერესი გუნდი — ლვოვის „კარპატი“ კუბაში გამართავს შეხვედრებს, დონის როსტოვის არმიელები კი აფრიკაში ჩავლენ. აქ მათს თამაშს ნახავენ სენეგალის, გამბიისა და ზედა ვოლტის ფეხბურთის მოყვარულები.

დეკემბრის დასაწყისს ვოროშილოვგრადის „ზარია“ ეთიოპიაში გაემგზავრება. ახლა რუმინეთში სტუმრადაა ნიკოლაევის „სუდოსტროიტელი“. ლენინგრადის „ზენიტი“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გასამგზავრებლად ემზადება. დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ საფრანგეთში ითამაშებს, კემეროვოს „კუზბასი“ — პოლონეთში, სიმფეროპოლის „ტავრია“ — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო ერევნის „არარატი“ — ლიბანში.

18 ნოემბერს კუნძულ კვიპროსზე სსრ კავშირის ნაკრები გაფრინდება. იგი ნიკოზიაში ამ სახელმწიფოს ნაკრებს შეხვდება ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ მატჩში. თბილისელთაგან ნაკრებში ორი მოთამაშეა: რ. ძოძუაშვილი და გ. ნოდია. სამშობლოსკენ გზად საბჭოთა ფეხბურთელები სამ ამხანაგურ მატჩს გამართავენ: 18 ნოემბერს — ვენაში „რაპიდთან“, 21 ნოემბერს — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში „ჰამბურგთან“ და 25 ნოემბერს — იტალიაში „მოდენასთან“.

ᲛᲘᲖᲐᲜᲘ — ᲗᲐᲡᲘ

ახალგაზრდა რიგელი ოსტატის ა. შმატასთვის სსრ კავშირის თასზე ფინალური მატჩის თამაში, რა თქმა უნდა, დიდი გამოცდაა, მით უმეტეს, რომ მისი მეტოქე — დიდოსტატი დ. ბრონშტეინი უაღრესად გამოცდილი მებრძოლია.

მეორე პარტიაში შმიტი თავგამოდებით იბრძოდა და ყველა სიძნელე დაძლია. პარტია 47-ე სვლაზე დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში გადაიდო. მეორე დღეს მეტოქენი თამაშის განუახლებლად დაზავდნენ. ანგარიში გახდა 1:1.

ხარკოველი ვ. სავონი ძალიან ძლიერი მოწინააღმდეგეა. მან ბევრი საერთაშორისო დიდოსტატი ჩამოიტოვა ამას წინათ დებრეცენში (უნგრეთი), გ. მაროცის ხსოვნის ტურნირში. ცხადია, რომ ახალგაზრდა ლ. ალბურტისთვის (ოდესა) მასთან ბრძოლა იოლი არ არის. მათს მატჩში, რომელიც III ადგილისთვის თამამდება, სავონის უპირატესობა აშკარაა: მან მეორე პარტიაშიც აჯობა ოდესელ ოსტატს. მართალია, პარტია გადაიდო, მაგრამ სავონს მოგების შანსი აქვს. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 1:0 ხარკოველის სასარგებლოდ.



ᲡᲝᲩᲣᲛᲘ

აქ დამთავრდა ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალური საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების II სახეფულო სპარტაკიადა, რომელიც საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს მიეძღვნა. სპარტაკიადის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ჭადრაკი, შაში, მაგიდის ჩოგბურთი, ტურიზმი და ტყვიის სროლა. I ადგილი დაიკავა საგალანტერიო ფაბრიკის კოლექტივმა, II — ტროლეიბუსის სამმართველოს, III — ავეჯის ქარხნის გუნდმა.

ბ. ᲗᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ.

ᲐᲓᲘᲒᲔᲜᲘ

ამას წინათ აქ ჩატარდა მძლეოსნური ესტაფეტა 4×400 მეტრზე რბენაში. ყველაზე უკეთ გამოვიდნენ აბასთუმნის საშუალო სკოლის ფიზკულტურელები.

ნ. ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
სპორტსკოლის დირექტორი.

ᲓᲐᲠᲩᲐ ᲠᲔᲐ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ

მარსელი, 9 ნოემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების აქ დამთავრებულ წინასწარ ტურნირში მოსკოვის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდმა I-II ადგილები გაიყო „ოსკ ბუდაპეშტთან“. უნგრელ სპორტსმენებთან ერთად მოსკოველები მარსელონაში იასპარეზებენ ნახევარფინალში (27-29 ნოემბერი), სადაც ზემოდასახელებული ორი გუნდის გარდა ითამაშებენ თასის ამჟამინდელი მფლობელი — ზაგრების „მლადოსტი“ და ესპანეთის „ბარსელონეტა“.

ამ საპატიო პრიზის ოთხი დანარჩენი პრეტენდენტი იმავე დღეებში ბელგრადში მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში შეხვდება ერთმანეთს. ესენი არიან იუგოსლავიის ჩემპიონი — ბელგრადის „პარტიზანი“, პირეის „ეთნიკოსი“ (საბერძნეთი), სოფიის „აკადემიკი“ და შვეიცის „სტოკჰოლმი“.

„ჰალას“ თალქვეშ

ᲖᲘᲕᲝᲚᲘᲡ სარბიელზე უკანასკნელად გაისმა ბიიან ადამიჩის ძალუმი მარშის ჰანგი, რომელიც კომპოზიტორმა ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობას უძღვნა. სხვადასხვა ქვეყნის ტანმოვარჯიშე ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა დატოვეს სტუმართმოყვარე ლიუბლიანა. ახე დამთავრდა XVII მსოფლიო პირველობა ტანვარჯიშში. ჩემპიონატმა ბევრს გამარჯვება და სიხარული მოუტანა, ზოგს კი იმედები გაუცრუა. მაგრამ ხელმოცარულნიც კი კმაყოფილი ტოვებდნენ სარბიელს, ვინაიდან მსოფლიო პირველობამ მათ გამოცდილება შესძინა და სპორტულად დაავაჟკაცა. ოთხი წლის შემდეგ ისინი ბულგარეთის საკურორტო ქალაქ ვარნაში შეიკრიბებიან და იქ განაახლებენ უძლიერესის სახელისთვის ბრძოლას.

იუგოსლავიაში გამართულმა ჩემპიონატმა სპორტსმენებსა და სპეციალისტებს ბევრი საზრუნავი გაუჩინა. ეს ოთხი წელი ალბათ ხარვეზების აღმოფხვრას, სპორტსმენთა კიდევ უფრო დოსტატებასა და ილეთების შემდგომ დახვეწას მოხმარდება, რადგან ჩემპიონატის მონაწილეთა უმრავლესობას ახალგაზრდები შეადგენდნენ და მათ საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამთ. ბევრი მათგანი მაყურებლის როლში ეწვია ლიუბლიანას, მათ შორის, ქართველი გოგონა რუსუდან სიხარულიძე, რომლისთვისაც ეს, უბრალოდ, სასიამოვნო გასეირნება როდი იყო. რუსუდანისთვის, რომელმაც ხვალ ჩვენი ქვეყნის ღირსება უნდა დაიცვას, ჩემპიონატი ნამდვილი სკოლა იყო. იგი მთელი გულისყურით ადევნებდა თვალს უძლიერესთა გამოსვლებს და იმახსოვრებდა ურთულეს ვარჯიშებს, უბის წიგნაკში ინიშნავდა და უფროს მწვრთნელებთან ლ. ლატინინასა და ს. მურატოვასთან ერთად არჩევდა მათ. აქვე იყო ნაკრების ახალგაზრდა წევრი ოლგა კორბუტი. დებიუტანტებმა პირველი გამოცდა აქვე, იუგოსლავიის ერთ-ერთ ქალაქში გამართულ საჩვენებელ საღამოზე ჩაბარეს და მათს გამოსვლას მსოფლიო პირველობის პროგრამით მაყურებელთა დიდი მოწონება ხვდა.

როგორღა წარიმართა ასპარეზობის დღეები? ჩემპიონატს მომზადებული შეხვდა ლიუბლიანა, რომელიც მთელ იმედებს ამ ქალაქის მკვიდრ მიროსლავ ცერარზე ამყარებდა. ამაზე ნათლად მეტყველებდნენ მთელ ქალაქში გაკრული ფერადოვანი აფიშები ცერარის გამოსახულებით. ცხადია, ცერარსაც გულით სურდა არ გაეწბილებინა გულშემატკივრები და მთელი მონდომებით ემზადებოდა სტარტებისთვის. და მაინც, მისი წარმატება ძალიან საეჭვო იყო, რადგან დღეს ტანვარჯიში მოზარდთა სპორტად იქცა. ამის შესანიშნავ მაგალითს— გოგონები წარმოადგენენ, რომლებიც ტოლს არ უდებენ გაპოცდილ უფროს კოლეგებს.

ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲔᲑᲘ ᲛᲘᲠᲝᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვთქვით, მასპინძლები ერთობ მოწადინებული იყვნენ, რომ ჩემპიონი იუგოსლავიელი ცერარი ყოფილიყო. ეს შემთხვევითი არ იყო, რადგან ელეგანტური მირო (ასე შეარქვეს ცერარს ასპარეზობის დღეებში ჟურნალისტებმა და კომენტატორებმა) თანაქალაქელთა შორის წარმოუდგენლად პოპულარულია. შეჯიბრების კვირაძალზე ადგილობრივმა ახალგაზრდულმა ყოველკვირეულმა „ანტენამ“ მას მთელი ნომერიც კი უძღვნა („ანტენის“ ყდის აქ მოტანილ რეპროდუქციაზე სწორედ ცერარის ოჯახია აღბეჭდილი). აქ სპორტსმენის ბიოგრაფიული ცნობების გარდა სხვადასხვა სალაღობო ამბავიც კია დაბეჭდილი, რომლებიც ხალხში ანეკდოტებივით დადის.

აი, ეს ამბებიც:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲗᲚᲝᲒᲐ ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲖᲔ. როგორც ყოველ ბავშვს, მიროსაც ძალიან ჰყვარებია ტკბილეული. ექვსი წლის ბიჭუნა საგარაკოდ დეიდამისს სწვევია. დიასახლისს მარმელადი დაუმზადებია სუფრაზე მისატანად, მაგრამ მიროს წყალობით სადილზე „მესამე“ არ მიურთმევიათ: მარმელადი ბავშვს მოუპარავს და პირი ჩაუტკბარუნებია, რისთვისაც მაგრად მოხვედრია უფროსებისგან. ეს ჩემი პირველი სპორტული ნათლობა იყო გამძლეობაშიო, — იგონებს თურმე ცერარი.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲔᲥᲡᲞᲝᲜᲐᲢᲘ. მონრეალის „ექსპო-68“-ზე ცერარიც ჩასულა. ქუჩაში მიმავალს წინ იუგოსლავიელი გულშემატკივარი გადასდგომია და უთქვამს: მეჩვენება თუ მართლა ცერარი ხართო? შემდეგ თავადვე დაუსკვნია: „თუმცა რა გასაკვირია, გამოფენაზე ხომ ყველაფერს ნახავს კაცი, თვით ცერარსაც კი“.

„ᲗᲐᲕᲘᲡᲛᲐ ᲘᲐᲠᲐᲚᲛᲐ“ ᲣᲦᲐᲚᲐᲢᲐ. როგორც ცნობილია, ცერარის უსაყვარლესი იარაღი ტაიჭია. მას ამ ურთულეს სახეობაში დღესაც ტოლი არა ჰყავს მთელს დედამიწაზე. პრაღის 1965 წლის საერთაშორისო სპარტაკიადაში გამარჯვების შემდეგ სპორტსმენს რეპორტიორებმა სთხოვეს სურათის გადასაღებად ცხენზე შემჯდარიყო და საკმაოდ თვინიერი არსება მოჰგვარეს. ცხენმა მხედარი იხამა და ძირს გადმოაგდო. ეს იუმორისთვის კარგ მასალად იქცა. გაზეთში დაიბეჭდა სურათი, რომელსაც ასეთი წარწერა ამშვენებდა: „მსოფლიოში ერთადერთი ცხენი, რომელიც ცერარმა ვერ დაიმორჩილა“.



ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 1970 წლის ჩემპიონ ლ. ტურიშჩევასთვის თავისი მწვრთნელის ვლადისლავ როსტოროცკის სიტყვა კანონია. ლიუდმილა ამაგდარ აღმზრდელს ყველაფერს უჯერებს. მაგალითად, საკავშირო შეკრებაზე ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლ. ლატინინას შენიშვნებს იგი თავაზიანად ისმენს, მაგრამ ვიდრე თავისი მასწავლებლის თანხმობას არ მიიღებს, მანამდე ვარჯიშში არაფერს ცვლის.

როსტოროცკი ჩემპიონისთვის მართლაც ავტორიტეტული პიროვნება რომ გასლავთ, ამაში კიდევ ერთხელ ლიუბლიანაშიც დავრწმუნდით. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მწვრთნელსა და შეგირდს ქალაქის ერთ-ერთ უნივერმაღში შევხვდი. კოპწია ქალიშვილი სარკის წინ მოდურ მაღალყელიან ჩექმებს იზომებდა და სანამ მწვრთნელმა არ უთხრა, გიხდებაო, ყიდვა ვერ გაბედა...

ᲓᲐᲦᲠᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲜᲘ

ᲑᲔᲛᲠᲡ არ ჰქონდა იმედი, რომ მშობიარობის შემდეგ სარბიელზე დაბრუნებული ზინაიდა ვორონინა ასეთ დიდ წარმატებას მიაღწევდა. ზინაიდამ მართლაც თითქმის წარმოუდგენელი რამ შეძლო და მრავალჭიდში საპატიო III ადგილი დაისაკუთრა. მიუხედავად ამისა, ზინა ლიუბლიანაში საკმაოდ დაღვრემილი გამოიყურებოდა და ამის მიზეზი მისი მეუღლის მ. ვორონინის უფერული გამოსვლა იყო,

ბრწყინვალედ იასპარეზა ოლგა კარასიოვამაც, მაგრამ მის სიხარულს ჩრდილს აყენებდა მეუღლის—ვალერი კარასიოვის მარცხი, ხოლო ლიუბოვ ბურდას თავისი მეუღლის ვიქტორ კლიმენკოს დაბალი შედეგები აღონებდა.

ᲛᲘᲗᲘ ᲙᲔᲗᲖᲔ

ᲡᲐᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲝ პროგრამით ასპარეზობის პირველ დღეს საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებმა ვერ იქნა და ვერ დაიმორჩილეს დვირი. ამ „ვერაგმა იარაღმა“ პირველივე გამოსვლაში უმტყუნა თ. ლაზაკოვიჩს. ეს იყო 180-გრადუსიანი ბრუნი ზნექით. საბჭოთა სპორტსმენი დვირიდან ჩამოვარდა,

ამ იარაღზე ლაზაკოვიჩის ბედი გაიზიარა საბჭოთა გუნდის ყველა წევრმა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჟურნალისტები სერიოზულად შეფიქრიანდნენ — დვირზე კევი ხომ არავის დაუკრავს, რათა სპორტსმენებისთვის ხელი შეეშალაო. ეს მითი პრესაშიც კი დაიბეჭდა, თუმცა, რასაკვირველია, სინამდვილეში კევი არაფერ შუაში იყო.

Უ. ᲫᲘᲫᲘᲜᲐᲫᲔ.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ლიუბლიანა — თბილისი.

რედაქტორი მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ
ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲜᲡᲙᲛᲑᲚᲘ

„ᲧᲘᲜᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ“

13 ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

დასაწყისი 20 საათზე, კვირაობით — 12 და 20 საათზე.

მიიღება განაცხადები კოლექტიურ დასწრებაზე. განაცხადები სხვა ქალაქებიდან, რაიონებიდან და სასწავლებლებიდან დაკმაყოფილდება პირველ რიგში.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის, რუსთაველის მეტალურგთა კულტურის სასახლისა და ცენტრალურ თეატრალურ სალაროებში.

ცნობები ტელეფონებით 36-20-54, 36-01-55.

ᲠᲝᲪᲐ ᲪᲝᲚᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ... ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების ყოფილი კაპიტანი ფ. ვალტერი ახლა ცნობილი ტელემიმომხილველია. მას ჰყავს ცოლი, რომელსაც ჰქვია ... იტალია. ეს, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი გერმანელი გულშემატკივრებისთვის. ამბობენ, რომ ვალტერისთვის თავის კარიერაში ყველაზე მძიმე იყო იტალია — გფრ-ის ნაკრები გუნდების მატჩის რეპორტაჟი მსოფლიო ჩემპიონატიდან.

— კი, მაგრამ, გამოსავალი ხომ არსებობს, — ამბობდნენ გულშემატკივრები. — ნუ ჩაატარებს ვალტერი რეპორტაჟს იტალიის გუნდების მონაწილეობით.

ᲛᲐᲠᲝᲙᲝᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘ — „ᲛᲝᲜᲐᲙᲝᲨᲘ“

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ცნობილმა კლუბმა „მონაკომ“ იყიდა მაროკოს № 1 ფეხბურთელი, მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ფილალი. ფეხბურთელს 70 ათასი ფრანკი გადაუხადეს, მის ყოფილ გუნდს — 50 ათასი ფრანკი.

საფრანგეთის ორგზის ჩემპიონი „მონაკო“ ახლა დაკნინდა და თავისი ქვეყნის პირველობაზე II ლიგაში გამოდის. ფილალის გადაბირების შემდეგ „მონაკო“ იმედოვნებს დაუბრუნდეს უმაღლეს ლიგას.

ᲠᲝᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲨᲘ ᲣᲡᲛᲝᲒᲔᲜ

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ფეხბურთელი ნესტორ როსი რამდენიმე წლის განმავლობაში არგენტინის ნაკრების ნამდვილი ბურჯი იყო. დაამთავრა თუ არა ფეხბურთელის კარიერა, როსი პროფესიონალი მწვრთნელი გახდა და აქაც დიდ წარმატებებს მიაღწია.

ახლა როსი ესპანეთშია და „გრენადას“ უდგას სათავეში. მართალია, უცხოელ მოთამაშეთა ყიდვა ესპანეთში აიკრძალა, მაგრამ მწვრთნელებს ფართოდ გაუხსნეს კარი. ამიტომაა, რომ ახლა I ლიგაში მუშაობენ ინგლისელები, არგენტინელები, ავსტრიელები და სხვ. როსი მათ შორის ერთ-ერთ უპირველეს სპეციალისტად ითვლება.

და აი, როსის ისევ არგენტინაში უხმობენ. „რივერ პლატა“, სადაც იგი ოდესღაც გამოდიოდა, ამ ბოლო ხანებში მარცხს მარცხზე განიცდის, თუმცა მას წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლაბრუნა წვრთნის. ახლა როსიმ ლაბრუნა უნდა შეცვალოს.

„ᲒᲝᲚᲘᲡ“ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ პრაღის ჟურნალი „გოლი“ იუწყება, ფეხბურთელთა შორის ყველაზე დიდი ჯამაგირი აქვს პელეს, რომლის წლიურ შემოსავალს ჟურნალი 1.200.000 კრონით (ჩეხოსლოვაკიურ ფულზე გადაყვანით) განსაზღვრავს.

მომდევნო ადგილებზე არიან გფრ-ის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი ჰალერი (რომელიც ტურინის „იუვენტუსში“ გამოდის), იტალიელები ანასტაზი და რივა. ისინი წლიურად ღებულობენ პელეს შემოსავლის ნახევარს.

1924 ᲬᲔᲚᲡ, ᲣᲠᲣᲒᲕᲐᲘᲨᲘ...

ᲣᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ბევრმა არც იცის, რომ ფეხბურთის თემაზე პირველი საფოსტო მარკა 1924 წელს ურუგვაიში გამოუშვეს პარიზის ოლიმპიური თამაშების ტურნირში გამარჯვებასთან დაკავშირებით.

ამ მარკაში ახლა ფილატელისტები 1500 დოლარს იხდიან!

• ᲙᲝᲠᲐᲜᲐ • ᲤᲣᲢᲑᲝᲚ • ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ • LABdARUGAS •